საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
№ 400/9 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოგიდგენთ
შპს „ახალი ქსელების“ ქ. თბილიში სპილენძის სახაზო-საკაბელო
წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების
შეთავაზების წინადადება
(მოწვევა ოფერტაზე)

1. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ა. ქვეპუნქტის თანახმად:

ახალი ქსელები (თბილისი)

ასს-ის ინდექსი	მისამართი	წყვილების რ–ბა სრული სიმძლავრე	დატვირთული სატელეფონო სიგნალიზაც.	დატვირთული ფართოზოლოვანი რესურსით
30	შავიშვილის ქ. №3	2100	1921	237
32	ნუცუბიძის ქ. №7	9400	8474	1021
21	ნუცუბ. მე-2 მ/რ მე-4, კ1	4500	3460	121
33	ჩიქოვანის ქ. № 16	8900	6368	967
52	დიღმის მას. ე-3 კვ.	16100	12564	1151
53	დიდი დიღომის მე-4 მ/რ	7500	7509	1019
57/58/59	გლდანის მე-4 მ/რ	18400	14660	974
65	ქერჩის ქ. №1	4000	3098	202
65 (ზაჰესი)	ავჭალის №1	1700	1124	81
69	ე. ბეჟანიშვილის ქ. №11	10800	9061	663
სულ		**83400**	**68239**	**6436**

შემოსულია № 6/1279-07
"13" 09 2007
4 ფურცელი

ახალი ქსელები (ქუთაისი)

ასს-ის ინდექსი	მისამართი	წყვილების რ–ბა სრული სიმძლავრე	დატვირთული სატელეფონო სიგნალიზაც.	დატვირთული ფართოზოლოვანი რესურსით
2	ახალგაზრდობის გამ. 1 შეს.№27	3400	2741	43
გატანილი	მშენებლის ქ.№77	2500	2048	
გატანილი	ჭავჭავაძის გამზ. №5	2600	2024	
გატანილი	ნიკიას ქ. 54/1	3000	2132	
4	თამარ მეფის ქ. № 22	8000	6754	264
გატანილი	ხარებავას ქ. 1/8	1500	1087	
გატანილი	ბარათაშვილის ქ. 74	3000	1851	16
7	ჭავჭავაძის გამზ. №42	11400	10257	220
გატანილი	ავტომშენებლის გამზ. №38	4900	4222	35
სულ		**40300**	**33116**	**578**

2. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ. ქვეპუნქტის თანახმად:
ა) სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილთან სრულად დაშვების ტარიფია – 15.18 ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით;
ბ) დაშვების მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს დაახლოებითი მოთხოვნა თვეების მიხედვით, ექვს თვეზე გაწერილი და საბანკო გარანტია გადახდის უზრუნველყოფის მიზნით, თანახმად გ) ქვეპუნქტისა;
გ) გადახდა განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, წარმოადგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

3. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ. ქვეპუნქტის თანახმად:

მას შემდეგ რაც ოპერატორებს შორის გაფორმდება დაშვები შესახებ ხელშკერულება, და ამ შეთავაზების მე-6 პუნქტით დადგენილი წესით, შემოყვანილ იქნება შპს „ახალი ქსელების“ კროსში ოპერატორის კაბელი, რომელიც მიერთებულ იქნება ჩარჩოზე, შპს „ახალი ქსელები მიიღებს განცხადებას ოპერატორისაგან, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) მსურველი აბონენტის ტელეფონის ნომერს; ბ) აბონენტის დემოგრაფიულ მონაცემებს; გ) განცხადებლის კაბელის მხარეს არსებული წყვილის ნომერს, რომელზეც უნდა დაჯდეს კროსირების მართული. თავისუფალი წყვილების არსებობის შემთხვევაში, შპს „ახალი ქსელები განცხადების რეგისტრაციიდან 4 (ოთხი სამუშაო დღის ვადაში მოახდენს წყვილის პარამეტრების ტესტირებას და დადებითი დასკვნის შემთხვევაში განახორციელებს წყვილის კროსირებას (ჩართვას) მსურველი ოპერატორის საკაბელო წყვილზე.

4. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტის თანახმად:

ვინაიდან შპს „ახალი ქსელები“ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე არ იყო ცნობილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად და არ ქონდა დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულება განცალკევებული აღრიცხვის შესახებ, მას არ განუხორციელებია მსგავსი სამუშაო რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების გამოქვეყნება ვერ ხერხდება.

5. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ე. ქვეპუნქტის თანახმად, დაშვების შესახებ ხელშკერულება გაფორმებულ იქნება აქცეპტის მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

6. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ვ. ქვეპუნქტის თანახმად:

შპს„ ახალი ქსელების“ სადგურების უმეტესობა განთავსებულია ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომისგან“ შეძენილ ან ნაქირავებ ფართებში, აღნიშნული ფართების დაკავება მოხდა 10 წლის წინ მაშინ, როდესაც გათვალისწინებული არ იყო თანალოკაციის ფართის გამოყოფის ვალდებულება, რის გამოც შპს „ახალი ქსელების მიერ, შეძენილ იქნა მხოლოდ ის აუცილებელი ფართები რაც საჭირო იყო და სადაც განთავსებულია: საკომუტაციო დარბაზი, კროსის, საგენერატორო, სააკუმლიატორო და საოპერატორო. სადაც ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით დაუშვებელია თანალოკაციის ფართის გამოყოფა. ამდენად შპს „ახალ ქსელებს“ არ გააჩნია თავისუფალი თანალოკაციის ფართი. თუმცა რეკომენდაციის სახით მოგახსენებთ, რომ მსურველ ოპერატორს შეუძლია მიმართოს იმ შენობის მესაკუთრეს, სადაც დღესაც განთავსებულია მათი კუთვნილი აპარატურა, და ითხოვოს მათთვის მისაღები ფორმით ფართის გადაცემა და შესაბამისი ხელშკერულების გაფორმება.

რაც შეეხება კროსებში კაბელის შემოყვანას, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე მსურველმა ოპერატორმა უნდა მოგვმართოს წერილობითი განცხადებით, რომელიც განხილულ იქნება ათი (10) დღის ვადაში და დადებითი პასუხის შემთხვევაში, მას შემდეგ რაც მსურველი ოპერატორი გადმოგვცემს საჭირო კაბელს და კროსის შესაბამისი მარკის ჩარჩოს ათ (10) სამუშაო დღეში მოხდება აღნიშნული მოწყობილობის მიერთება შესაბამისი ანაზღაურებით:

ა) ინსტალაციის საფასური 200 ლარი დღგ-ს ჩათვლით თითოეულ 100 წყვილიან ჩარჩოზე;
ბ) ჩარჩოს განთავსების ყოველთვიური ქირა 100 ლარი დღგ-ს ჩათვლით თითოეულ 100 წყვილიან ჩარჩოზე.

7. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ზ. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს შპს „ახალი ქსელები ვერ დაადგენს იმ მიზეზით, რომ თანალოკაციის ფართი მას არ გააჩნია, ხოლო სხვის ფართში პირობების დადგენა მის კომპეტენციაში არ შედის.

8. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.თ. ქვეპუნქტის თანახმად, დამატებითი სიმძლავრეები (კროსში კაბელის შემოყვანა) განხორციელებულ იქება (10) დღის

ვადაში მას შემდეგ რაც მსურველი ოპერატორი ყოველ კონკრეტულ შემთხვევში მოგვმართავს წერილობით , რომელიც განხილულ იქნება ათი (10) დღის ვადაში და რომელზეც გაცემულ იქნება დადებითი დასკვნა.

9. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ი. ქვეპუნქტის თანახმად, ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ გარემოებებში მსურველი ოპერატორის მხრიდან გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება მის მიერ სრულად.

10. მოწვევის ოფერტა მოქმედებს 6 თვიანი ვადით.

შპს „ახალი ქსელების“
გენერალური დირექტორი ა. იაშვილი